ქეთევან ჩიჩუა

16 წლის

სსიპ ივ. ჯავახიშვილის სახელობის # 3 საჯარო სკოლის მე-11ა კლასის მოსწავლე

წერილი ევროპელ თანატოლს – გზაზე დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე ქეთევან ჩიჩუა ძვირფასო მეგობარო, მე ვარ ქეთო,თექვსმეტი წლის. დავიბადე საქართველოში, დამოუკიდებელ ქვეყანაში, რომელიც ჯერ კიდევ ჭეშმარიტი თავისუფლების ძიებაშია. მინდა გიამბო ჩემი თვალით დანახულ გზაზე,რომელსაც საქართველო,როგორც სახელმწიფო,თავისუფლებამდე და დამოუკიდებლობამდე მიჰყავს. 1991 წელს საქართველომ ისტორიული ნაბიჯი გადადგა,საბჭოთა კავშირს გამოეყო და დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო უდიდესი იმედისა და სიხარულის სიმბოლო. თითქოს საბოლოოდ გათავისუფლდა ჩემი ქვეყანა საბჭოთა იდეოლოგიისაგან და თავისი მომავლის თავად წარმართვის უფლება მოიპოვა. თუმცა, ეს მხოლოდ ფორმალური დამოუკიდებლობა იყო. რეალური ბრძოლა თავისუფლებისთვის,როგორც ფიზიკური, ისე სულიერი,მხოლოდ მაშინ დაიწყო. 90-იან წლებში ჩემი ქვეყანა ბნელ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. შიდა კონფლიქტები, ომები, სიღარიბე, გაურკვევლობა… არ არსებობდა სტაბილური ინსტიტუციები, დემოკრატიული მმართველობა და აზრის თავისუფლება.თუმცა ხალხს ერთი რამ ყოველთვის აიმედებდა- თავისუფლების სიყვარული.ქართველებმა იცოდნენ, რომ სირთულეები დროებითია, და მხოლოდ ერთობითა და მონდომებით შეიძლებოდა სვლა უკეთესი მომავლისკენ. დღეს 30 წელზე მეტი გავიდა დამოუკიდებლობის მოპოვებიდან. ბევრი რამ შეიცვალა. საქართველო დემოკრატიის გზაზე დგას. ჩვენ გვაქვს თავისუფალი არჩევნები, აქტიური სამოქალაქო საზოგადოება, მრავალფეროვანი მედია. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია

ახალგაზრდების ჩართულობა საქართველოს წინსვლაში.გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს ევროპული მომავალი, სადაც თითოეული ადამიანის ხმა და აზრი მნიშვნელოვანია. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დამოუკიდებლობა ყოველთვის არ ნიშნავს თავისუფლებას. ჯერ კიდევ არის კორუფცია, სოციალური უსამართლობა, უთანასწორობა. აზროვნება ბოლომდე ვერ გათავისუფლდა საბჭოური იდეოლოგიისგან. ხშირად განსხვავებული მოსაზრების ან იდენტობის მქონე ადამიანებს მაინც უჭირთ თანასწორობის განცდა. თავისუფლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ არის ეს არის ღირებულებითი მდგომარეობა.თავისუფლებაში იგულისხმება სიტყვის, რწმენის, არჩევანის თავისუფლება,ღირსება, პასუხისმგებლობა და პატივისცემა სხვების მიმართ. ჩვენ ჯერ კიდევ ვსწავლობთ და რა თქმა უნდა, პროგრესიც შესამჩნევია. ევროპა, რომელიც შენთვის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია, ჩემთვის ჯერაც მიუღწეველ სტანდარტებზე,აუსრულებელ ფასეულობებსა და განვითარებულ ცხოვრებაზე ოცნებაა. არ მინდა მხოლოდ ფორმალურად ვიყო ევროპის ნაწილი – მსურს, გავიზიარო ის ღირებულებები, რომლებიც ევროპული ყოფის საფუძველია: ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, ტოლერანტობა და სოლიდარობა. მჯერა, რომ ჩემი თაობა,დამოუკიდებელ საქართველოში დაბადებული ახალგაზრდები,შევძლებთ იმ საზოგადოების შექმნას, რომელიც არა მხოლოდ დამოუკიდებელი, არამედ ჭეშმარიტად თავისუფალიც იქნება. თავისუფლება იწყება თითოეული ჩვენგან, იმ ადამიანებისგან, რომლებსაც არ გვეშინია განსხვავებულად აზროვნების,ვისაც გვჯერა უკეთესი მომავლის და ვისთვისაც ევროპული ღირებულებები შინაგანად ახლოა. ვიცი, გზა გრძელი და რთულია, მაგრამ დარწმუნებული ვარ საქართველო წარმატებით გაივლის მას. იმედი მაქვს, ოდესმე ჩვენ, მე და შენ,ერთ სივრცეში, საერთო ღირებულებებზე დაფუძნებულ დიდ ევროპულ ოჯახში შევხვდებით ერთმანეთს. სიყვარულით, ქეთევან ჩიჩუა საქართველოდან

A Letter to My European Friend – The Path from Independence to Freedom Ketevan Chichua

Dear Friend, My name is Keto. I am sixteen years old. I was born in Georgia,a country that is independent, yet still on a journey towards true freedom. I want to tell you about the path I have witnessed my country walking as it moves toward both independence and genuine liberty. In 1991, Georgia took a huge historic step: it broke away from the Soviet Union and declared independence. It was a symbol of great hope and joy. It seemed as though my country had finally been freed from Soviet ideology and had gained the right to shape its own future. But that was only formal independence. The real struggle for freedom both physical and spiritual was just beginning. In the 1990s, my country fell into a dark and difficult period of time. Internal conflicts, wars, poverty, and uncertainty took hold. There were no stable institutions, no democracy , and no freedom of speech. Yet one thing always gave our people hope the love of freedom. Georgians knew that these hard days were temporary and that only through unity and determination could we move toward a better future. More than 30 years have passed since we gained independence. Much has changed. Georgia is now on the path to democracy. We have free elections, an active civil society, and diverse media. The involvement of young people in the country's progress is especially important. We want our country to have a European future one where every voice and opinion matters. But it must be said: independence does not always mean freedom. Corruption, social injustice, and inequality still exist. Minds are not yet fully free from Soviet-style thinking. People who hold different opinions or identities still often struggle to feel equal. Freedom is not just about national independence it is a matter of values. Freedom

means the right to speak, believe, choose,it means dignity, responsibility, and respect for others. We are still learning, and of course, we are making progress. Europe for you,my friend, it may be a part of everyday life. For me, it is still a dream of high standards, cherished values, and developed society . I don't want to be part of Europe only in form,I want to share the values that lie at the heart of European life: human rights, the rule of law, tolerance, and solidarity. I believe that my generation young people born in an independent Georgia can build a society that is not only independent but truly free. Freedom begins with each of us—with people who are not afraid to think differently, who believe in a better future, and who feel a deep connection to European values. I know the path is long and difficult, but I am sure that Georgia will walk it successfully. I hope that one day, you and I will meet in the same place as part of one big European family, built on shared values. With love, Ketevan Chichua From Georgia